

როგორ გავაუმჯობესოთ არსებული რესურსებით სპეციალური
საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური
ჩართულობა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე სსიპ
ქ.თბილისის 62-ე საჯარო სკოლის IV I კლასში

თამარ კველიშვილი, მარიკა მუმლაძე, ზურაბ ტაბატაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ იგი წარმოადგენს ორიგინალურ ვერსიას და მასში გამოყენებული და ციტირებული სხვა ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალა დაცულია სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ კველიშვილი

მარიკა მუმლაძე

ზურაბ ტაბატაძე

06.07.2015 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქალაქ თბილისის 62-ე საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა არსებული რესურსებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობის გაზრდა IV I კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე.

სკოლის საზოგადოების გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში მწვავე პრობლემაა. სამიზნე კლასი შეირჩა სკოლის პედაგოგების და ადმინისტრაციის საერთო შეთანხმებით. ამ კლასში მოსწავლეები გამოირჩევიან საშუალო აკადემიური მოსწრებით, მაგრამ კლასის მასწავლებლებს უჭირთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა აკადემიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში.

კვლევამ აჩვენა, რომ სსსმ მოსწავლეთა აკადემიური ჩართულობის გაუმჯობესება საგაკვეთილო პროცესში შეუძლებელია ადაპტირებული გაკვეთილის გეგმის გარეშე. ადაპტირებული გეგმა ხელს უწყობს გაკვეთილის სტრუქტურირებას და ეხმარება მასწავლებელს, მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს როგორც ტიპური განვითარების მოსწავლეთა აკადემიურ ჩართულობაზე, ასევე სსსმ მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებაზე. მნიშვნელოვანია ადმინისტრაციის ჩართულობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგი, სპეც მასწავლებლისა და საგნის პედაგოგის თანამშრომლობა.

კვლევაში აღწერილია ის სტრატეგიები, რომელთა გამოყენებაც ეფექტურად მივიჩნით არსებული პრობლემის გადასაჭრელად. პრობლემის კვლევისა და

ინტერვენციის ანალიზის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც შემდგომში გაუადვილებთ მათ სამუშაო პროცესს და ხელს შეუწყობს საგაკვეთილო პროცესში სსსმ მოსწავლეთა აკადემიურ ჩართულობას.